

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

"სურამის ციხე": ინტერპრეტაციისათვის*

For without a cement of blood (it must be human,
it must be innocent) no secular wall will safely stand.

W. H. Auden**

მეტაფიქცია

ნარატივის ანალიზისას საინტერესოა სტატუ-
სი, რომელსაც იგი საკუთარ თავს ანიჭებს.
"ათას ერთ დამეში" ნარატივს სიკვდილის თავი-
დან ასაცილებლად იყენებენ¹, ბალზაკის "სარა-
ზინში" მას ერთი სასიყვარულო დამის ფასი
აქვს.² ამ შემთხვევებისაგან განსხვავდით, დანი-
ელ ჭონქაძის "სურამის ციხეში" თხრობას სრუ-
ლიად არადრამატული ფუნქცია აკისრია – გარ-
თობა. მეტიც, თხრობის დაწყება შემთხვევითობებ-
ბის ჯაჭვითაა განპირობებული: მორიგე აღარა-
ვინაა, რიგი გათავებულია და არავის უნდა ამბის
მოყოლა, შემთხვევით არჩეული მთხოობელი
უარზეა, რადგან "არ მომზადებულა".

მაგრამ ეს არ არის ამ ტექსტის "არასერიო-
ზულობის" ერთადერთი მიზეზი. თავად თხრო-
ბაც ძალზე უცნაურად მიმდინარეობს; არაა შე-
ნარჩუნებული მთხოობელის იდენტურობა, რაც,
წესით, დამაჯერებელობას უნდა უკარგავდეს მო-
ნაყოლს. ყმაწვილები ერთმანეთს ენაცვლებიან
და ყოველგვარი წინმსწრები გამოცდილების გა-
რეშე აგრძელებენ ერთმანეთის მონათხრობს;
მოთხოობა მათი ფანტაზის ნაყოფია და ამას
ყოველმხრივ უსვამენ ხაზს.³

ლიტერატურას, რომელიც სისტემატურად და
თვითცნობიერად მიაპყრობს ყურადღებას საკუ-
თარ ფიქციურ ხასიათს, მეტაფიქცია ეწოდება⁴.
"სურამის ციხე" მეტაფიქციური ტექსტია. იგი
სავსეა ხუმრობით მთხოობელებისა და თხრობის
პროცესში გამოყენებული ნარატიული ხერხების
მისამართით. ეს მეტაფიქციური შრე არის ის, რა-
საც ნაწარმოების "ფორმას" ვუწოდებთ. მეტა-
ფიქციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი კი
მონათხრობისაგან დისტანცირებაა. რაში მდგო-
მარებოს ის შინაარსი, რომლისაგან ეს დისტა-
ნცირებაა ნაცადი?

იდეოლოგიები

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ
XIX საუკუნის საქართველო ორი ტიპის იდეო-
ლოგიით, ორი ტიპის დისკურსითაა განსაზღვრუ-
ლი. ისინი ერთმანეთთან ხან დამატებით, ხანაც
ოპოზიციურ მიმართებაშია; ესენია ეროვნული
და სოციალური დისკურსები. როგორ აირეპლუ-
ბა ეს იდეოლოგიები "სურამის ციხეში"?

1) "სურამის ციხე" თავიდანვე ცხადადაა ჩა-
ფიქრებული როგორც "მოთხოობა ანუ ანდაზა,
ანუ რაც არ უნდა რა ჩვენი საქართველოს
ცხოვრებითგან". და მართლაც, აქ სახეზეა ისტო-
რიული წარსულის ელემენტები: სურამის ციხის
აშენების ლეგენდა, ოსმალთა შემოსევის, ომის
საშიშროება. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ჩვე-
ნი მოთხოობა ამ თემას ცოტა უცნაური მხრიდან
განიხილავს: მთელი პატრიოტული აჟიოტაჟი აქ
სხვა არაფერია, თუ არა შურისძიების საბაბი და
ამ ძირებული მოტივაციის ფონზე იდეოლოგია
მხოლოდ საფარველია, "ყალბი ცნობიერებაა".
აზრი, რომ "მამულის კეთილდღეობა ითხოვს ამ
მსხვერპლს", პარგავს თავის ერთმნიშვნელოვნე-
ბას, არა მარტო იმიტომ, რომ მსხვერპლი (ზურა-
ბი) სამშობლოს საქუთარი ნებით არ ეწირება,
არამედ იმიტომაც, რომ ეს მსხვერპლი უსარგებ-
ლო აღმოჩნდება (ომის საშიშროება მხოლოდ
მოჩვენებითია) და მხოლოდ საბაბის როლს ას-
რულებს შურისძიებისათვის. მაგრამ შეიძლება
თუ არა ითქვას, რომ ყოველივე ამის უკან სხვა
ინტერესი დგას?

2) საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკა შეეცა-
და, "სურამის ციხე" წარმოედგინა როგორც სო-
ციალურ-კრიტიკული პათოსით აღსავს ნაწარ-
მოები. ტექსტიდან გამოსატან მთავარ დასკვნად
მიჩნეულია დურმიშნანის ფრაზა: "სანამ ჩვენ ბა-
ზონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძ-

* წინამდებარე ტექსტი დაიწერა ქართული ბიბლიოთეკებისაგან ბალიან შორს, რის გამოც ვერ მოხერხდა "სურამის ციხესთან" დაკავშირებული ლიტერატურის გათვალისწინება. მადლობას ვუხდი ლიტერატურამოცვენე ზახა შათიროშვილს, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გამიზია მუშაობისას.

** „რადგან სისხლის ქვითკირის გარეშე (ის უნდა იყოს ადამიანის, ის უნდა იყოს უცოდველი) ვერ იდგება მყარად ვერც ერთი საერო კედელი“, ვ. ჰ. ოდენი.

ლება", მაგრამ არ არის გათვალისწინებული ის კონტექსტი, რომელსაც ეს ფრაზა ეკუთვნის, ანუ ის ადგილად დასანახი ფაქტი, რომ ამ სიტყვებით დურმიშნანი მხოლოდ გულისვარდის მოტყუებას ისახავს მიზნად. ამ სიტყვებით საბჭოთა კრიტიკოსებიც ისევე მოტყუებნენ, როგორც გულისვარდი. მართალია, სოციალურ-ერიტეტული იდეოლოგია ტექსტში თემატიზებულია, მაგრამ ის არანაირად არ არის განმსაზღვრელი, მეტიც, ის გათვალისწინების ობიექტადაა ქცეული (უფრო ნაკლებად, ვიდრე ეროვნული, მაგრამ მაინც: გავიხსენოთ ქნათ-ლიბერალის ფიგურა). მართალია, ოსმანალას ქმედების მოტივად ბატონებმობა იქცევა, მაგრამ პარალელურად ვხედავთ, რომ მოთხოვის მთავარი გმირების მოქმედებისათვის საზოგადოებრივი წყობა სულაც არაა განმსაზღვრელი. მაშინ რა განსაზღვრავს მათ ქმედებებს?

ვნება: სიმბოლური და იმაგინარული

იეზუიტთა კანონი "იუავ ლეში"⁵ სწორ მიმართულებას გვაძლევს პერსონაჟთა მამოძრავებელი ძალების გასაზებად. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ არც ეროვნული და არც სოციალური პრობლემატიკა არ გამოღვება მოთხოვის გმირების ქმედებათა ასახსნელად⁶, თითქოსდა თავისთავად ცხადი უნდა გახდეს, რომ ყოველივე ამას პერსონაჟები საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად იყენებენ. ანუ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მოტივაციის განმსაზღვრელ საბოლოო რეალობად ეგოიზმი უნდა იყოს მიჩნეული. რამდენადაა გამართლებული ეს პირველი შთაბეჭდილება?

ყოველივეს საწყისი დურმიშნის სურვილია. ის ესწრაფვის აღიარებას – სიმბოლურის ფარგლებში (სიმბოლური ლაგანთან აღნიშნავს ინსტიტუციებსა და სტრუქტურებს, რომლებიც ადამიანთა შორის ურთიერთობებს აშეალებენ): "იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კუთილი გრძნობა გულისა". ამის საპირისპირო გულისვარდის ვნება იმაგინარულის დონეზე უნდა განვათავსოთ – ის განსაზღვრულია ინდივიდუუმებს შორის უშუალო მიმართებით, რისგანაცად გამოწვეული დაუოკებელი სიყვარულისა და შერისძიების ვნებები, რომლებსაც იგი განიციდის⁷. ის, ისევე როგორც ოსმან-აღა, ატანილი პყავს იმაგინარულ ვნებებს, რომელთა უმნიშვნელობა დურმიშნის თავდაპირველი მოტივებისათვის დედის სიყვარულის არქონით აისხება:

"შენ სხვაგან სადმე რო ყოფილხარ დიდხანს და რო მოსულხარ, შეგინიშნავს, როგორ უყურებია შენთვის დედაშენს?

– მე დედა არ მასხოვს, – უპასუხა დურმიშნანმა."

არაა გასაკვირი, რომ დედის სიყვარულის განუცდელობის გამო დურმიშნანს არც იმაგინარული მოტივაცია აქვს თავდაპირველად. მას აინტერესებს არა ადამიანთაშორისი ურთიერთობები, თუნდაც აღიარება მეორე ადამიანის მიერ (რაც ჯერ კიდევ იმაგინარულის სფეროს ეკუთვნის), არამედ მხოლოდ ადგილის დაკავება სიმბოლურში. შეიძლება ითქვას, რომ გულისვარდი ახერხებს დურმიშნანის გადაყვანას წარმოსახულის დონეზე, სადაც მეფობს სიყვარული და აგრესიულობა. აქ წარმოშობა სწრაფვა, როგორსაც თვითშენახვის ინსტინქტიც კი ვეღარ აკავებს.

ლაგანის მოწაფეები გგასწავლიან, რომ ფრონდის "სიკვდილისაგენ სწრაფვა" თვითონ სიკვდილისაგენ სწაფვას კი არ ნიშნავს, არამედ სწრაფვას, რომელსაც სიკვდილისაც კი არ ეშინია.⁸ რამდენადაც საეჭვო უნდა იყოს ეს აზრი, როგორც ფრონდის ტექსტის ადგევატური ინტერპრეტაცია, იმდენად სწორია იგი "სურამის ციხის" მთავარი პერსონაჟების მოქმედების დასახასიათებლად, როდესაც ისინი იმაგინარულ დონეზე მოძრაობენ. "ეტყობოდა, რო არც ერთი მათგანი არ ცდილიყო სიკვდილისაგან დაცვას", – ვიგებთ დურმიშნანისა და გულისვარდის შესახებ. თვით ოსმან-აღასაც კი, რომელიც ოშმი სიკვდილს ეძიებდა, მართავდა მონანიების და არა სიკვდილის სურვილი.⁹ მაგრამ ეს ვნება არ არის ინდივიდუუმის ინტერესის გამომხატველი, ის უფრო პირველადია, ვიდრე ინდივიდუუმის ინტერესი, რადგან ის ინდივიდუუმის სიკვდილის წინაშეც არ იხევს უკან.

აქედან შეიძლება გავიგოოთ, თუ რას ნიშნავს, იყო ლეში: არ გქონდეს ვნებები.

მსხვერპლი

კითხვა, რომელსაც ნაწარმოების ნებისმიერმა ინტერპრეტაციამ უნდა გასცეს პასუხი, შემდეგია: რატომ არ ინგრევა სურამის ციხე ზურაბის ჩაბანების შემდეგ?¹⁰ ტექსტში არსებული ერთადერთი მინიშნება ამ მიმართულებით ახალი საძირკვლის ჩაყრაზე მიგვითოთებს, რასაც გულისვარდის რჩევით ასრულებს ვეზირი. მაგრამ ეს არადამაჯერებელი რეალისტური ახსნა მხოლოდ ფარავს ამ აქტის უზარმაზარ სიმბოლურ მნიშვნელობას. დ. ჭონქაძე არ იყო ერთადერთი, ვინც ხვდებოდა, რომ საერო კედელი არ შეიძლება მყარად იდგას უცოდველი ადამიანური სისხლის გარეშე. რატომაა ეს უცოდველი სისხლი აუცილებელი?

რენე ჟირარი¹¹ ამის ასახსნელად მიმეტური ძალადობის თეორიას აგებს: ყოველ ჯგუფს, ადამიანთა ყოველ ერთიანობას (community) წინ უსწრებს მიმეტური სურვილის პერიოდი, რომელიც დაუსრულებელი ძალადობითაა განსაზღვრული

(რაც გამოწვეულია სხვადასხვა სუბიექტის დღოლვით ერთი ობიექტისადმი) და რომლის დასამთავრებლადაც მსხვერპლია საჭირო. ეს მსხვერპლია ამ ჯგუფის გამაერთიანებელი; გარკვეულწილად სწორებ ამ მსხვერპლის მეშეებით ხდება სიმბოლური წესრიგის დამყარება, რომლის შიგნითაც ინდივიდუუმებს შორის ქიშპი გადალახული და წინასწარ მოწესრიგებულია კანონის მიერ. როგორც ვხედავთ, აქ გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება ლაკანის მიერ გატარებულ განსხვავებასთან იმაგინარულსა და სიმბოლურს შორის.¹²

ახლა გადავხედოთ მოთხოვბაში აღწერილ სიტუაციას: სურამის ციხე სხვა არაფერია, თუ არა ჯგუფის (ამ შემთხვევაში ერის) კონსოლიდაციის სიმბოლო. კონსოლიდაციის აუცილებლობა გარეშე მტრის საშიშროებითაა გამოწვეული. მაგრამ ჯგუფს შიგნიდან დრონის ქიშპი (რივალურიბა) – ეს არა მარტო ზურაბისა და დურმიშხანის საუბარში ვლინდება, არამედ გულისვარდის მიერ მისი ყოფილი ქალბატონისათვის მკითხაობის სცნაშიც – ორივეგან ახალგაზრდა მეომრების ერთმანეთისადმი დაპირისპირება-შეჯიბრის სული იგრძნობა. ამ რივალურიბის დასასრულებლად მსხვერპლშეწირვის იდეა თითქოს "ინსტინქტურადაა" ცხადი მათვის, ვინც ზურაბის კედელში ჩატანებას გადაწყვეტს. მსხვერპლის შემდეგ ხდება ჯგუფის კონსოლიდაცია და ციხეც დგას. სიტუაციის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ეპილოგიდან ვიგებთ, თურმე ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა.

მოჩვენების გამოჩენა ტექსტის ფინალში ლაკანის მესამე რეგისტრის შემოტანით უნდა ავსხსნათ: ლაკანთან რეალური იმ არასიმბოლიზმულს აღნიშნავს, რის წინაშე ძრწოლაც ხშირად

სწორებ დაუსაფლავებელი გვამის პალუცინაციაში იჩენს თავს. მხოლოდ ამ გვამის დასაფლავების შემდეგ შედის ის სიმბოლურ წესრიგში და ხერხდება მისი დავიწყება. მაგრამ პარადოქსული ჩვენს ტექსტში სწორებ ისაა, რომ, რამდენადაც ზურაბის გვამმა ჯგუფის სიმბოლური წესრიგის აგებას შეუწყო ხელი, რამდენადაც მან სიმბოლურის კონსტიტუირებაში ითამაშა როლი, მისი სტატუსის გადაწყვეტა ამავე სიმბოლურის შიგნით ვერ მოხერხდება. ზურაბის დედის ჰერიდან შეშლა სწორებ სიმბოლიზმების (ანუ ჩვენი ტექსტის შემთხვევაში, დასაფლავების რიტუალის¹³) ამ შეუძლებლობითაა გამოწვეული; მოჩვენება სხვა არაფერია, თუ არა იმაგინარულის (უშუალო დუალური მიმართებისა დედასა და შვილს შორის) დაბრუნება, რომელიც რეალურის სიმბოლურში ჩაუწერობითაა გამოწვეული.

თუ ყოველივე ამას ტექსტის შინაარსად მივიჩნევთ, მაშინ მეტაფიქციური ფორმა სხვა არაფერია, თუ არა ამ შინაარსისაგან დისტანცირების ცდა. ასეთი სახის ცდათაგან უკანასკნელი ხდება დურმიშხანისა და გულისვარდის ფინალური შეხვედრის აღწერამდე¹⁴, მაგრამ ამბავი უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე მისი ფიქციურობის ცნობიერება და მოთხოვბის ლეგენდაში გადასვლა საპირისპიროა იმ ოხუნჯური დამოკიდებულებისა, რომელსაც ნარატორები იჩნენ საკუთარი მონათხოვბისადმი.

"სურამის ციხე" რომანტიკული ნაწარმოებია. გნებების დაძლევა ვერც ნარატიული ხერხებითა და ვერც რელიგიური თუ სხვა სახის დისტარსით ხერხდება – ისინი მხოლოდ გადაავადებენ იმ სიკვდილს, რომელიც ამ ვნებების დაგმაყოფილებას სდევს თან და რომელმაც სიცოცხლესთან ერთად ტექსტიც უნდა დაასრულოს.

შენიშვნები:

1. მ. ფუქო, რა არის ავტორი? // პარალელური ტექსტის, №2, თბ. 1998, გვ.105.
2. Barthes, Roland, *S/Z*, XXXVIII, წიგნში *Oeuvres complètes*, t. 2, p. 614.
3. მაგალითისათვის: "— თუ არ ვსტუ, — დაიწყო ისევ სიკომ, — მგონია, დურმიშხანი, ჩვენი ვარდოს საყვარელი, უფალმა ნიკომ გაუშვა შარაგზაზე ქალაქის გარეთ".
4. Waugh,Patricia, *Metafiction: The theory and practice of self-conscious fiction*, 1984.
5. იუზიებზე მითითების ავთენტურობაზე მიმითოთა პროფ. ნოდარ ლადარიამ ამ რამდენიმე წლის წინათ. დ. ჭონქაძეს, უქვეველია, მხედველობაში აქვს ცნობილი გამოთქმა იუზიებთა წესდებიდან "როგორც ლეში", perinde ac cadaver. კონტექსტისათვის უპრიანი იქნებოდა ციტატის მოყვანა: "Et sibi quisque persuadeat quod qui sub oboedientia vivunt, se ferri ac regi a divina Providentia per Superiores suos sinere debent, perinde ac si cadaver essent, quod quoquaversus ferri et quaecumque ratione tractari se sinit" (დაյ ყოველმა თვითონ დაარწმუნოს საკუთარი თავი, რომ ვინც მორჩილებაში ცხოვრობს, უნდა მიამართონოს და ამართვინოს თავი დავთის განგებას უხუცესების მეშვეობით, თითქოს ლეში იყოს, რომელიც შეიძლება წაიღო სადაც გინდა და ყველა მიმართულებით მიაბრუნო).
6. ჩვენ არ გვისენებია რელიგია როგორც მესამე დისტარსი ეროვნულისა და სოციალურის გვერდით. საქმე ისაა, რომ ერთადერთი, რასაც ჩვენ მოთხოვბა ამ მხრივ ექსპლიციტურად გვანახებს, ესაა რელიგიის, როგორც ინსტიტუციის, არაეფექტიანობა თვით პერსონაჟებისათვის.

კარგ მაგალითს გვაძლევს ამ მხრივ ტექსტის ის ადგილი, სადაც მდვდელი ზურაბის სიკვდილის შემდეგ დურმიშხანის გამხნევებას ცდილობს:

"- გამხნევდი, დურმიშხან, – დაიწყო დარიგება მდვდელმა, – შეხედე შენ მაცხოვარს, რამდენი ტანჯვა მიიღო შენთვის, მოიგონე, რო არის სხვა სიცოცხლე, – სიცოცხლე საუკუნო, სადაც ნახამ და ყოველთვის ერთად იქნებით შენ ზურაბთან.

მაგრამ მდვდელის სიტყვანი იყვნენ აქ ამაო".

ოსმან-აღას მონაიქბაც ამ არაეფექტიანობის ნიშნითაა აღბეჭდილი, მისი ქმედება ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს დურმიშხანზე (ბატონის მიერ მისი შეპყრობა ასევე ეპლესიაში მიცემული აღსარების ბრალია).

მეორე მხრივ, რელიგიური ენა ერთადერთია, რომელსაც მოთხოვთ გვთავაზობს პერსონაჟთა ქმედებების ინტერპეტაციისათვის, ანუ ეს ის ენაა, რომლითაც ხდება მოვლენების ინტერპეტაცია ინტრადიგენტური ნარატორების მიერ. როგორც გულისვარდის, ისე დურმიშხანის ქმედებანი აღიქმება ეშმაკისეულად. საქმე ისაა, რამდენადაა ეს რელიგიური ენა პირველადი და ხომ არ წარმოადგენს ის ადამიანური ყოფნის ფენომენების ინტერპეტაციას, რომლებისთვისაც სხვა ენაც (ენტიც) იარსებებდა, იქნებ უფრო პირველადიც კი.

7. ტექსტში ეს ვნებები გეოგრაფიულადაც არის განთავსებული : "შეუყვარდათ ერთმანეთი ისე, როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიათ სიყვარული". ერთი სიტყვით, ორიენტაციიზე.
8. Zupancik, *Das Reale einer Illusion: Kant und Lacan*, 2001, გვ. 14.
9. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ომში სიკვდილის ძიების შემდგა ის ვაჭრობაში ეძებს "აზრების გაქარვებას" – სიკვდილი აქ მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა.
10. კედელში ჩატანების იდეა, როგორც ცოცხლად დამარხვის წარმოდგენის ვარიაცია, გოთიკური ლიტერატურის ქმირი ატრიბუტია. შურისძიების კონტექსტში ამ იდეის გაშლას ვხვდებით ედგარ პოს "ამონტილადოს დვინოში" (და, მისი მიბაძვით, ბრედბერის "შარსის ქრონიკებში"). მაგრამ პოსა და "სურამის ციხეს" შორის არსებითი განსხვავება არსებობს: ჩვენს ტექსტში სიცოცხლე ამოშენების დასრულებისთვავე წყდება ("–ვაიმე! დედავ გავთავ..." – აღარ დაასრულებინეს და მსწავლ დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი"), ხოლო პოსთან (და, ზოგადად, გოთიკაში) მნიშვნელოვანი მომენტი სწორედ ამოშენების შემდეგ სიცოცხლის გაგრძელებაშია, ანუ ზანზალაკების ქადარუნში, რომელსაც ჩატანებული მსხვერპლი გამოსცემს. ამის თემატიზება ხდება პოსავე მოთხოვთაში "ცოცხლად დამარხვა", სადაც დამარხული ყვირის: " მე ცოცხალი ვარ" (ისიც შეიძლებოდა აღგვენიშნა, რომ *Life in Death*-ის ამ იდეას პოს მოთხოვთაში "მოსიე ვალდე-მარის შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები" *Death in Life*-ის იდეა შეესაბამება – როდესაც ვალდემარი ამბობს "შეუძლებელ წინადაღებას" (დერიდი): "მე ვარ მავდარი").
11. Girard, Rene. *Des choses cachées depuis la fondation du monde*, 1978. ლიტერატურასთან დაკავშირებით საინტერესო მისივე "To double business bound": Essays on Literature, Mimesis and Anthropology, 1978.
12. თავად ეირარი ლაკანისეული (ისევე როგორც ორთოდოქსული) ფროიდიზმის მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიშალოს ხელი ამ ორ თეორიას შორის სტრუქტურული მსგავსებების დანახვაში.
13. "სწორე სიკვდილი არც კი გედირსა, სწორე დამარხვა," – დასტირის დურმიშხანი ვაჟს.
14. " – დაიწყო, ყმაწვილებო, ქუხილი, ჭექა და მეხი. მოემზადენით! – დაიძახა დაცინვით ალექსიძი. – წყეული იყავ, მეფისტოფელი! – უთხრა იმას სიკომ, რომელიც სჩანდა, რო დიდი გულისხმის მიდევნებით უგდებდა ყურს, – თქვი, ქაცო!"

Giga Zedania
Tbilisi State University

"THE SURAMI FORTRESS": AN INTERPRETATION

The text sketches an interpretation of Daniel Chonkadze's *The Suram Fortress* (1869). It notes the presence of different ideologies (national and social) within the work, which prove to be insufficient for motivating the individuals and points to the metafictional character of the text. This metafictional form stands in contrast with the narrative of the destructive passions bringing about the death of the personages. The analysis draws on J. Lacan's doctrine of three registers of the psyche as well as R. Girard's conception of victimage.